



საქმე № 1გ/1430



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ

06 სექტემბერი, 2016 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ **გ. ბ.-ს** ადვოკატის - **თ. კ.-ს** საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინებაზე, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :
აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილება იძიებს სისხლის სამართლის №010220216001 საქმეს, **გ. ბ.-ს** მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში, 2016 წლის 30 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ბრალდებულ **გ. ბ.-ს** ადვოკატმა **თ. კ.-მ** და ითხოვა საგამოძიებო მოქმედების - ამოღების ჩასატარებლად ნებართვის გაცემა, კერძოდ, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მთავარი შესასვლელის მაკონტროლებელი ვიდეოკამერის ვიდეოფირის ამოღება 25 ივლისის 23:00 საათიდან 26 ივლისის 01 საათამდე, აგრეთვე, „ა.-ს“ მეტროს წინ, **ქ. წ.-სა** და **წ.-ს** ქუჩების მიმართულების შუენიშნებზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების ფირების ამოღება 25 ივლისის 22:00 საათიდან 24:00 საათამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინებით ზემოაღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.



საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ვინაიდან შუამდგომლობა ეხებოდა ინფორმაციის გამოთხოვას, ამ საპროცესო უფლებით სარგებლობს მხოლოდ პროკურორი, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსსკ-ის 143²-143¹⁰ მუხლების დებულებებით (იხ. განჩინება).

განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულ **გ. ხ.-ს** ადვოკატმა **თ. კ.-მ**. ადვოკატი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ განჩინება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა. აღნიშნულ შემთხვევაში, კამერებზე საიდანაც საჯარო კონტროლი ხორციელდება ზოგადად ყველაფერზე, ეს იცის ყველამ და შესაბამისად ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომელზედაც წვდომა არა თუ ადვოკატს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს. ის, რომ აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ პროკურორის უფლებაა და მასზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების წესები ვრცელდება, სამართლებრივი ნონსენსია. მოსამართლის მიერ უგულებელყოფილ იქნა სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპები, კერძოდ, მე-9 მუხლი - მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი და ბრალდებულის უფლება სამართლიანი სასამართლოზე - მე-8 მუხლი, შეიზღუდა დაცვის უფლება, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და სხვა ნორმატიული აქტებით (იხ. საჩივარი).

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საჩივარი, რომელიც არ შეეხება აღკვეთის ღონისძიებების შესახებ განჩინებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალები და საჩივარი, რომელიც არ შეეხება აღკვეთის ღონისძიებების შესახებ განჩინებას, იძლევა ადვოკატის საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ



სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰ მუხლების (ფარული საგამოძიებო მოქმედებები) დებულებები.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ინფორმაციის გამოთხოვას საგამოძიებო მოქმედება ამოღებისაგან განასხვავებს ამ საგამოძიებო მოქმედების ობიექტის თავისებურებანი და მისი ჩატარების განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია. კერძოდ, ინფორმაციის გამოთხოვის დროს ხდება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის (ელექტრონული სახით არსებული ინფორმაციის, ამ შემთხვევაში, ობიექტის) მოპოვება, ხოლო ამოღების მიზანია საქმისათვის მნიშვნელობის მეორე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის (ისეთი ობიექტის, რომელიც არ არის ელექტრონული სახის) ამოღება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის. ამოღების ჩატარება ხდება ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედებისთვის დადგენილი წესით და პროცედურის დაცვით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლითა და სხვა სპეციალური მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციებით, ხოლო ინფორმაციის გამოთხოვა ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედებისთვის დადგენილი რეჟიმის მიხედვით, საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰ მუხლების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის აღძვრისას მხარემ ყურადღება უნდა მიაქციოს მოსაპოვებელი ინფორმაციის სახეს და მისი მოპოვების პროცესუალურ წესს, რაც დეტალურად არის გაწერილი ერთი მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136 და 143²-143¹⁰ მუხლებში, ხოლო მეორე მხრივ 111-ე - 112-ე, 119-ე - 124-ე მუხლებში.

განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოცემულობა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად, რეგულირდება ამავე კოდექსის 143²-143¹⁰ მუხლების (ფარული საგამოძიებო მოქმედებები) დებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედება ამოღებასთან დაკავშირებული ნორმებით ხელმძღვანელობა არარელევანტურია თვით მოსაპოვებელი ინფორმაციის ხასიათის (ელექტრონული ფორმით დაცული ინფორმაცია, იგივე კომპიუტერული მონაცემი) და მისი მოპოვებისას ფარული საგამოძიებო მოქმედებისთვის დადგენილი დებულებებით ხელმძღვანელობის აუცილებლობის გამო. ამასთანავე, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი კომპიუტერული მონაცემების ანუ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის



გამოთხოვის უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ პროკურორს და ადვოკატს არ აქვს ასეთი შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ვინაიდან ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება კოდექსის 143²-143¹⁰ მუხლების დებულებები ანუ ეს საგამოძიებო მოქმედება ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედების რეჟიმში, რის უფლებაც ადვოკატს არ გააჩნია.

აქვე, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2010 წლის 01 ოქტომბრიდან ანუ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლიდან დღემდე, მათ შორის, საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლში 2014 წლის 01 აგვისტოს შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ძირითადად, სასამართლო (როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს) პრაქტიკით დადგენილია, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში (მათ შორის სათვალთვალო კამერების სახით არსებულ კომპიუტერულ სისტემაში) დაცული კომპიუტერული მონაცემების მოპოვება ხორციელდება საპროცესო კოდექსის 136 და 143²-143¹⁰ მუხლების შესაბამისად, ხოლო სხვა შემთხვევებს, მათ შორის, კომპიუტერული მონაცემების ამოღებას ინფორმაციის გამოთხოვისთვის დადგენილი წესის დაუცველად ანუ სსსკ-ის 136-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით, საგამოძიებო კოლეგია არ განიხილავს კანონშესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-20, 97-98-ე, 112-ე, 119-120-ე, 136-ე, 143²-143¹⁰, 207-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ადვოკატის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინება, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, დარჩეს უცვლელად;

განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



მოსამართლე
გელა ბადრიაშვილი